პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 38 (6599)

24 1980 წ. თებერვალი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

25 თებერვალი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1980 24 თებერვალი საბჭოების არჩევნების დღეა

„განვლილი ათწლეულის მანძილზე შესამჩნევად გაიზარდა საბჭოების აქტიურობა. კიდევ უფრო წარმოჩნდა ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებიც მათ აქვთ. ეს არის ინიციატივა მეურნეობისა და კულტურის, მოსახლეობის მომსახურების, ფართო მოთხოვნის საქონლის გამოშვების გევრი საკითხის გადაწყვეტაში. ეს არის შეუნელებელი და მომთხოვნი კონტროლი მართვის ორგანოების, ყველა საწარმოს და ორგანიზაციის მუშაობისადმი. ეს არის ხალხის მასებთან საბჭოების კავშირურთიერთობის მუდმივი გაფართოება და გაღრმავება, ამომრჩეველთა განაწესების შესრულება. ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთი კალაპოტით წარიმართება რუსეთის ფედერაციის, ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების ახალი შემადგენლობის მუშაობა".

ლ. ი. ბრეჟნევი.

(მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას წარმოთქმული სიტყვიდან).

მიღწეულის გადასახედიდან

საბჭოების არჩევნებს მუდამ უმაგალითო შრომითი ენთუზიაზმით და საყოველთაო ერთსულოვნებით ეგებება ჩვენი ხალხი. ეს ბუნებრივია, რადგან არჩევნები უკვე მოპოვებული წარმატებით გამოწვეული სიხარულის ზეიმიცაა და მიღწეულის გადასახედიდან ახალი პერსპექტივებიც მკაფიოდ მოჩანს.

საბჭოების ახლანდელი არჩევნები ავსებს და ალამაზებს იმ დიდ სახალხო სიხარულს, რომელიც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოა, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით ჩვენი რესპუბლიკის ზედიზედ მეშვიდედ დაჯილდოებამ გამოიწვია. ამ დიდ და საპატიო გამარჯვებას სხვებთან ერთად ჩვენი სახელოვანი ფიზკულტურელები და სპორტსმენებიც სჭედდნენ ფაბრიკა-ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე, სჭედდნენ სპორტულ სარბიელზეც, რადგან, როგორც არაერთხელ აღნიშნულა, საყვარელი სპორტსმენის ყოველი ახალი გამარჯვება სტიმულს აძლევს ჩვენს მშრომელებს, დადებითად მოქმედებს მათ გუნება-განწყობაზე. და, აქედან გამომდინარე, შრომისნაყოფიერების ზრდასთან ერთად იზრდება გამოშვებული პროდუქციის ხარისხიც. ლოგიკურია ისიც, რომ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულმა ცალკეულმა კოლექტივებმა ადრე ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტმასობრივ მუშაობაში მიღწეული მაღალი შედეგებითაც გაითქვეს სახელი. ეს არის აფხაზეთში გალის რაიონის სოფელ ოქუმის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა, რომელიც ერთ-ერთი მოწინავე სოფლის ფიზკულტურული კოლექტივია არა მარტო აფხაზეთში, არამედ მთელს ჩვენს რესპუბლიკაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედა აჭყვის კოლმეურნეობა აჭარაში და ლენინგორის რაიონის სოფელ ლაგვისის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა სამხრეთ ოსეთში, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობა, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობა, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის საწარმოო გაერთიანება „ქუთაისავტოქარხანა", ამავე ქალაქის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანება...

არჩევნებიდან არჩევნებამდე ჩვენი ცხოვრების საერთო წიხსვლას არც ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ჩამორჩა. კიდევ უფრო გაიზარდა მისი გავლენის სფერო, განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საკმარისია ითქვას, რომ ბოლო ხანებში არაერთი კეთილმოწყობილი სპორტული ნაგებობა გადაეცა საექსპლოატაციოდ. დავასახელოთ თუნდაც პროფსაბჭოს მძლეოსნური მანეჟი, პროფტექნიკური განათლების სისტემის ახალი კომპლექსი და ძიუდოისტთა დარბაზი თბილისში. ქიმიური კომბინატის საცურაო აუზი და სპორტული კომპლექსი რუსთავში. სამთო-სათხილამურო ტრასა თელავში. ზოგადსაგანმათათლებლო სკოლებთან აგებული 12 საცურაო აუზი გურჯაანში, 70-მდე სპორტული მოედანი საქარხნო რაიონში. თვითონ სოფელში შესანიშნავი სპორტული კომპლექსი გაამენეს მესტიის რაიონის სოფელ მულახის ახალგაზრდებმა. სპორტული მოედნები მოეწყო რესპუბლიკის სხვა სოფლებშიც. ათობით ჯანმრთელობისა და დასვენების ქალაქგარე ზონა შექმნეს რესპუბლიკის მსხვილმა წარმოება-დაწესებულებებმა. ყველა ამ წარმატებაში დიდია ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა დამსახურება.

როცა ხალხის კეთილდღეობისთვის ზრუნვის პროგრამას სახავდა, პარტიის XXV ყრილობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „სოციალურ ამოცანათა შორის არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე საბჭოთა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვა". და აქაც, პარტიის ამ საპროგრამო მითითების ხორცშესხმისთვის ბრძოლაში პირველ ყოვლისა წინა პლანზე დეპუტატები დგანან. ხალხის კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისთვის დეპუტატთა ზრუნვა კი ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის ზრუნვასაც ნიშნავს.

ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური მნიშვნელობის საყოველთაო აღიარება წლევანდელ საარჩევნო კამპანიის პერიოდშიც გამოიკვეთა. რესპუბლიკის ფიზკულტურელთა მილიონნახევრიანი არმია ამაყობს იმით, რომ ხალხის რჩეულთა შორის საბჭოების დეპუტატებად დღეს ფიზკულტურისა და სპორტის წარმომადგენლებიც იყრიან კენჭს.

საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ხალხი ირჩევს რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს დ. პერტენავას და მსოფლიოს ჩემპიონს ჭადრაკში ქალთა შორის **მ. ჩიბურდანიძეს**. თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატებად ირჩევენ „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდის უფროსს მწვრთნელს **ნ. ახალკაცს**, ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს **გ. ყირმელაშვილს**, ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორს **ა. მელიას**, ჭადრაკში ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტენდენტს **ნ. ალექსანდრიას**. და არა მხოლოდ თბილისში. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში. რესპუბლიკის ქალაქებში და რაიონებში ადგილობრივ საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებში დეპუტატობა, თვითონ კანდიდატებად ასევე ერთხმად დაასახელეს ფიზკულტურასა და სპორტში გამოჩენილი ადამიანები.

ჩვენ ახლა მასობრიობიდან საყოველთაო-სახალხო ფიზკულტურულ მოძრაობაზე გადასვლის გზას ვადგევართ. ამიტომ განსაკუთრებით მეტი სპორტული ბაზები გვჭირდება საცხოვრებელ ადგილებში, რათა ადგილზევე შეექმნათ ფიზკულტურასა და სპორტში მოსახლეობის მეცადინეობის პირობები. ამ ამოცანის წარმატებით შესრულებას ისახავს მიზნად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელი დადგენილება „მოსახლეობაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების შესახებ". ეჭვი არ არის, რომ დეპუტატები, რომლებსაც დღეს ირჩევს ხალხი, ბალ-ღონეს არ დაზოგავენ, რათა განუხრელად შესრულდეს ეს მეტად დროული და მნიშვნელოვანი დადგენილება.

დეპუტატებს ხალხის ნდობის გარდა დიდი უფლება-მოვალეობები აქვთ მინიჭებული, რომლის ხორცშესხმა პრაქტიკულ საქმეში ხელს შეუწყობს ჩვენს შემდგომ წინსვლას, ახალ მიჯნებზე გაიყვანს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს, უფრო ფართო გასაქანს მისცემს ფიზკულტურასა და სპორტს — ხალხის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის უმრეტ წყაროს.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!
PROLETARIER ALLER LÄNDER VEREINIGT EUCH!
PROLETAIRES DE TOUS PAYS UNISSEZ-VOUS!
PROLETARIOS DE TODOS LOS PAISES UNAOS!
PROLETARI DI TUTTI I PAESI UNITEVI!
PROLETARIÓW WSZYSTKICH KRAJÓW ŁĄCZCIE SIĘ!
PROLETÁRIE VŠECH ZEMÍ SPOJTE SE!
PROLETARI DE LA TOATE ȚĂRILE UNIȚI-VĂ!
PROLETÁRIUM VŠETKÝCH KRAJÍN SPOJTE SA!
PROLETARI VSEH DEŽELA ZDRUŽITE SE!
PROLETARI VSEH DRŽAV SE ZDRUŽITE!
PROLETARI ALLA TUTTI I PAESI UNITEVI!
PROLETARI VSEH DRŽAV SE ZDRUŽITE!
PROLETARI VSEH DRŽAV SE ZDRUŽITE!
PROLETARI VSEH DRŽAV SE ZDRUŽITE



საბჭოთა საქართველოს 59-ე წლისთავი

ხვალ საბჭოთა საქართველო 59 წლის ხდება. ქართველი ხალხი დიდი ეროვნული სიამაყით, შესანიშნავი წარმატებებით ეგებება ამ თარიღს. და აქვთ კიდეც საამაყო — სულ ახლახანს ჩვენი რესპუბლიკა ზედიზედ მეშვიდედ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით! ეს დიდი აღიარება კი იმის დასტურია, რომ რესპუბლიკა, მისი მშრომელი ხალხი სსრ კავშირის სხვა ხალხებთან, რესპუბლიკებთან მხარდამხარ სწორი გზით, აღმაშენებლობის გზით მიაბიჯებს სანუკვარი მიზნისაკენ.

რესპუბლიკის წარმატება უპირველეს ყოვლისა, მისი ხალხის, მშრომელი ადამიანების გარჯის ნაყოფია. სწორედ ისინი უქმნიან ქვეყანას აწმყოსა და მომავალს. და მათ შორის, ვინც რესპუბლიკას სახელსა და ავტორიტეტს მატებს, ვინც საქვეყნოდ განადიდებს მას, არიან ჩვენი სპორტის ამაგდარნი — სპორტსმენები და მწვრთნელები.

დღესაც, ამ საიუბილეო თარიღის წინ, სწორედ სპორტსმენსა და მწვრთნელზე გვექნება საუბარი. ერთია ტანმოვარჯიშე პაატა შამუგია — სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის ჩემპიონი ბჯენით ხტომებში, მეორე — მწვრთნელი ნელი სალაძე, ვინც მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა შესანიშნავი პლეადა აღუზარდა რესპუბლიკას.

და კიდევ: ცნობილი ფაქტია, დიდი სპორტი, დიდი გამარჯვებები არ იქნებოდა, თუ არა მასობრივი ფიზკულტურა. ამიტომაც ვამახვილებთ დღეს მკითხველის ყურადღებას ხაშურის რაიონის ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ ორგანიზაციაზე...

ვარჯიში კი გრძელდება

„ბრწყინვალე სპორტული მონაცემები აქვს. დაუშრეტელი ენერგია, საოცარი პრინციპულობა ახასიათებს“. ეს სიტყვები მწვრთნელმა ა. ცომაიამ პაატა შამუგიას მისამართით თქვა. გამოცდილ მწვრთნელს დაეჯერება, თუმცა... გადავხედოთ პაატას მიერ განვლილ გზას...

მის სპორტულ ბიოგრაფიას შელამაზება არ სჭირდება.

9 წლის იყო, ტანვარჯიშზე სიარული რომ დაიწყო. თვით პაატა ასე იხსენებს ამ ეპიზოდს: „პატარა ვიყავი, როდესაც მეზობელმა წამიყვანა „დინამოს“ სატანვარჯიშო დარბაზში — ერთად ვივარჯიშოთო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჩემი ასაკის ბიჭებს არ ღებულობდნენ, იქ უფრო მოზრდილები ვარჯიშობდნენ თურმე. ავტირდი და... მეც მიმიღეს“.

თანდათან სულ უფრო და უფრო გაიტაცა სპორტმა. გადიოდა დრო. ეს იყო წლები სწავლის, ახლი შეცნობის, გულმოდგინე ვარჯიშისა, რომელსაც შემდგომში უმაღლესი სპორტული მწვერვალისაკენ უნდა წაეყვანა ბიჭუნა.

...და აი, პაატა შამუგია საქართველოს ჩემპიონი გახდა. წარმატებამ უფრო შეუპოვარი გახადა, შედეგმაც არ დააყოვნა. 1970 წლიდან სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. „იქ ბევრი რთული ილეთი შევისწავლე, — იგონებს პაატა, — გამოცდილი სპორტსმენებისაგან ბევრი რამის სწავლა შეიძლება. თანაც, სავარჯიშოდ უკეთესი პირობები იყო: კარგი დარბაზი, ახალი იარაღები“.

ახალგაზრდები ხომ მუდამ განსაკუთრებული ძალით მიისწრაფიან ჯერ დაუპყრობელი სიმაღლეებისკენ. და სწორედ ამ დროს პაატამაც სულ მალე დაამტკიცა, რისი ძალაც შესწევდა.

1975 წელს ინგლისში პაატა შამუგია მსოფლიო თასის მფლობელი გახდა ბჯენით ხტომებში.

1976 წელს სსრ კავშირის თასი მოიპოვა.

მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე კვლავ ვერ მოხვდა გუნდის შემადგენლობაში.

არა და, რა დიდი იყო იმედი, საბრძოლო განწყობილება...

„გუნდში ერთი კაცი სათადარიგოდ ითვლებოდა. არჩევანი ჩემსა და კიდევ ერთ სპორტსმენს შორის უნდა მომხდარიყო. წინა დღით მწვრთნელმა განაცხადა: იასპარეზებს ის, ვისაც დილით გავაღვიძებთო და... მე გამაღვიძა“.

ამით არ დამთავრებულა პაატა შამუგიას სპორტული კარიერა. რწმენა უნდა კაცს, დანარჩენს თავად გაუმკლავდება და ჩვენ კვლავ ვიწამეთ ამ სიტყვების ჭეშმარიტება.



1979 წელს სსრ კავშირის ხალხთა VII საზაფხულო სპარტაკიადაზე პაატა ოქროს მედლის მფლობელი გახდა ბჯენით ხტომაში.

...ზოგი ილეთი უფრო უნდა დაიხვეწოს, ზოგიც შეიცვალოს. გაკაკეთებელი კიდევ ბევრია. შეუპოვარი ვარჯიში კვლავ გრძელდება...

ლ. ცხვარაძე.

* * *

სურათზე: პ. შამუგია.

302 ქვიშხეთელი ფიზკულტურელი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 59-ე წლისთავს ახალ-ახალი გამარჯვებებით ხვდებიან **ხაშურის რაიონის** მშრომელებიც. შარშან მოპოვებული წარმატებებისთვის რაიონი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა.

ამ დიდ წარმატებაში შრომით კოლექტივებთან ერთად ფიზკულტურელებმაც შეიტანეს წვლილი.

ქვიშხეთის საბჭოთა მეურნეობა ერთ-ერთი ძლიერი მეურნეობაა რაიონში. აქაურ ფიზკულტურელებს 2 წელია მერი გომართელი უდგას სათავეში. მას წინათ მონდომებულ სპორტსმენად, ახლა კი სპორტის დიდ გულშემატკივრად და ენთუზიასტად იცნობენ ქვიშხეთში. ამიტომაც იყო, მეურნეობის ფიზკულტურელთა გაძღოლა რომ სთხოვს.

მეურნეობის კოლექტივში 302 ფიზკულტურელია, რომლებიც კალათბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, შაშისა და ქართული ჭიდაობის სექციებში არიან გაერთიანებულნი.

შარშან აქაურმა ფიზკულტურელებმა „კოლმეურნის“ რაიონულ პირველობაზე კომპლექსურ ჩათვლაში II ადგილი დაიკავეს. აქაურ სპორტსმენებსა და გულშემატკივრებს ყველაზე მეტად ფეხბურთი იტაცებთ. საბჭოთა მეურნეობის ფეხბურთელთა გუნდში 28 მშრომელია გაერთიანებული. მათ შორის გამოირჩევიან გურამ გელაშვილი, რომან ბერაძე, ჯემალ ლაცაბიძე, ვლადიმერ ღონღაძე და სხვები. გუნდს მეორე წელია ომარ ჩაჩანიძე ხელმძღვანელობს. ისინი სისტემატურად ატარებენ შიდასაკოლექტივო შეჯიბრებებს უბნებსა და ბრიგადებს შორის. მონაწილეობენ „კოლმეურნის“ რაიონულ პირველობაზე. შარშან II ადგილი დაიკავეს. შარშანვე ყველას აჯობეს „ოქროს თავთავის“ რაიონული თასის გათამაშებაში.

ფეხბურთის სექციის შემდეგ ქვიშხეთში ყველაზე მეტი პოპულარობით კალათბურთი სარგებლობს. აქაურმა ვაჟებმა, რომლებსაც თენგიზ ჩადუნელი ავარჯიშებს, შარშან რაიონულ პირველობაზე II ადგილი მოიპოვეს. ამ გამარჯვებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს პაატა ცუცქირიძემ, გენადი სადუნიშვილმა, ემზარ და გურამ გელაშვილებმა და სხვებმა.

ქალთა გუნდს კი ზურაბ გიგიტაშვილი ავარჯიშებს. შარშან მათ ყველას აჯობეს სოფლის ახალგაზრდებს შორის გამართულ შეჯიბრებაზე.

არც მეურნეობის ხელმძღვანელობა რჩება ფიზკულტურელთა ვალში — მათთვის ყოველწლიურად 500-600 მანეთის სპორტულ ინვენტარს იძენს, წელს კი გადაწყვეტილი აქვთ სოფელ ბულბულისციხეში ფეხბურთის მოედანი შეაკეთონ, ხოლო სოფელ ტაშისკარში—ფეხბურთისა და ფრენბურთის სარბიელი.

ჯ. მარიამიშვილი.

...და ბედნიერი ვარ

□

ჩანაწერი

□

ამას წინათ უნივერსიტეტთან დიდი ხნის უნახავი მეგობარი შემხვდა, შეწუხებული იყო. მიზეზი რომ ვკითხე. მითხრა — რამდენი ხანია უნივერსიტეტში დავდივარ, მინდოდა ნელი სალაძე მენახა, დღეს გავიგე, მოსკოვში წაუყვანია თავისი გოგონები საკავშირო შეკრებაზე. არა და ერთი თვეა, ჩემი ეკა აღარ მასვენებს— მხატვრულ ტანვარჯიშში მინდა ჩავწეროო. დავინტერესდი და სამ თებერვალს უნივერსიტეტში გამართულ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობას დავესწარი. შურიანი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ გამარჯვებულებს რომ სურათებს უღებდნენ და აღტაცებით უკრავდნენ ტაშს, ოცნებაში ჩემი ეკა წარმომიდგა ხალიჩაზე... თან ვშიშობ, ვაი თუ უარი მითხრას ნელიმ. მარტო დღეს, შვიდ მშობელს შევხვდი დარბაზთან — პატარა გოგონები მოეყვანათ სექციაში ჩასაწერად.

თან ვშიშობდი...

ეს უკვე პოპულარობის — ქართული მხატვრული ტანვარჯიშის წარმატებების შედეგია და თითქოს ამის გაგრძელება თუ პასუხი იყო...

ახლახან მხატვრული ტანვარჯიშის კიდევ ერთი კერა შეემატა დედაქალაქს. თბილისის პიონერთა სასახლეში გაიხსნა სკოლა, რომლის ხელმძღვანელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნელი სალაძე.

„განათლების სამინისტრომ და პიონერთა სასახლის დირექციამ ოპტიმისტურად განმაწყვეს. მოხარული ვარ, რომ მხატვრული ტანვარჯიშის სკოლა გაიხსნა პიონერთა სასახლეში, სადაც უკეთესი პირობები იქნება ბავშვების მომზადებისთვის. ახალ სკოლაში მეცადინეობა პირველ თებერვალს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ჯერჯერობით პიონერთა სასახლეში გადასვლა არ მოხერხდა. თვის ბოლომდე მოსკოვში საკავშირო შეკრებაზე მიმყავს ირინა გაბაშვილი, ირინა ქემჩუქინა და ლალი დოლიძე. მარტიდან კი მეცადინეობა ყოველ დღე ჩატარდება. მინდა ორასამდე ბავშვს მოვუყარო თავი, და მარტო ორასი კი არა, რომ შემეძლოს, ყველა გოგონას შეეასწავლიდი მხატვრულ ტანვარჯიშს — უკეთესი სპორტის სახეობა ქალისთვის არ მეგულება“.

ძალიან კარგია ახალი სკოლა, ეჭვი არ არის, კიდევ ბევრ საშუალო სკოლაშიც გაიხსნება მხატვრული ტანვარჯიშის სექციები. მაგრამ ეტყობა, არც ეს იქნება საკმარისი:

„ჩემი უახლოესი გეგმაა, საბავშვო ბაღებში მივამაგრო ჩემი გოგონები — უკვე გამოცდილი ოსტატები. ბავშვებს თავიდანვე უნდა გამოუმუშავდეთ სილამაზის, მშვენიერების გრძნობა. დამეთანხმებით ალბად, რომ მხატვრული ტანვარჯიში საოცრად ლამაზი სპორტია. მოქნილობა, პლასტიკა, გრაცია — ამ თვისებების გარეშე ნებისმიერი ქალი ბევრს კარგავს“.

2-3 თებერვალს თბილისის გუნდს სამატჩო შეხვედრა ჰქონდა მხატვრულ ტანვარჯიშში საბჭოთა კავშირის რვა უძლიერეს უნივერსიტეტთან. ასპარეზობის დაწყებამდე ნელი სალაძემ მითხრა — „დღეს ჩემი გოგონები აუცილებლად გაიმარჯვებენ.“ მაინც ღელავდა. შეხვედრა დაიწყო და როდესაც ხალიჩაზე ირინა გაბაშვილი გამოვიდა...

თვალი ერთთავად ნელი სალაძისკენ გამირბოდა, კედელთან იდგა — დაძაბული, გაფითრებული. მწვრთნელის სახეზე კითხულობდი ყველაფერს — როგორ ასრულებდა ირინა რგოლით ვარჯიშს, იყო თუ არა შეცდომები. გაგონილი მქონდა, ასპარეზობისას არასდროს უნახავსო თავისი აღზრდილები, ეს შეჯიბრება მაინცდამაინც მაღალი რანგისა არ იყო და იქნებ ამანაც გააბედინა...

შეჯიბრების შემდეგ, გამარჯვებულმა გოგონებმა ყვავილები მიართვეს აღმზრდელს — „გილოცავთ და მადლობელი ვართ, ნელი მასწავლებელო“... უსიტყვო, აღტაცებით მიჩერებულ თვალებს ვერაფერი უთხრა ნელი სალაძემ. ხან ირინას შეხედავდა, ხან მაიას, ლალის, მარინას... კაცმა არ იცის, რას ფიქრობდა: იქნებ იმას, თუ როგორ ნახა ეს გოგონები პირველად, ან იმას, რამდენი ღამე ათია მათზე ფიქრში. იქნებ იმასაც, რომ წლების შემდეგ ბევრი მათგანი მწვრთნელად იქცევა და მხოლოდ მაშინ მიხვდება თუ რა ბედნიერია დღეს ნელი.

პასუხად ვერაფერი უთხრა გოგონებს, მიხაკები გულში ჩაიხუტა, დაბნეულად მიმოატარა მათზე მზერა — „ხვალ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, ბავშვებო“ — თქვა და დარბაზი დატოვა.

მადლიერებით ავსებული თვალები გააყოლეს გოგონებმა. ამ უხმო, უსიტყვო სიყვარულმა მხატვრულ ტანმოვარჯიშეებთან ერთ-ერთი შეხვედრა გამახსენა:— ასპარეზობის შემდეგ ნელი სალაძემ სტუმრების საპატივცემულოდ გამართულ მეჯლისზე მიგვიწვია. ჩემს პირდაპირ ნელის გოგონები ისხდნენ. ისე უცქერდნენ ნელი ხილით და ნამცხვრებით სავსე სუფრას, მელიისა და ყურძნის ამბავი მომაგონდა.

ერთი სანდომიანი გარეგნობის კაცი ყველას აწონებდა მაგიდაზე მოტანილ ნამცხვრებს — მიირთვით, ჩემი მეუღლის გამომცხვარი ნამცხვრებიაო. უფრო გოგონებს აძალებდა სიცილით — ყველაზე ბევრი თქვენ უნდა ჭამოთ, ძალიან გამხდრები ხართო. ირინამ, როგორც იქნა, გაბედა და ისეთი ხმით უთხრა, ჩვენ ნამცხვრები არ გვიყვარსო, რომ ადვილი გასაგები იყო, როგორ და რატომ არ უყვარდათ. შემდეგ კი სიცილით დაუმატა — მგონი მართლა აღარ მიყვარს, რამდენი ხანია ტკბილეული აღარ გამისინჯავსო, და, ჩუმად გააპარა თვალი ნელი მასწავლებლისკენ.

ერთხელ ნელი სალაძეს ვკითხე, თუ რა იყო მისი იდეალი:

„ბავშვობიდანვე სილამაზის და ნიჭის თაყვანისმცემელი ვიყავი. ამისთვის მიყვარდა მხატვრული ტანვარჯიში, მხატვრობა და მუსიკა. მხატვრულ ტანვარჯიშში მგონი რაღაცის გაკეთება შევძელი, და სანამ შემეძლება, კიდევ გავაკეთებ. რაც შეეხება მხატვრობას, ბუნებამ არ დამაჯილდოვა ამ ნიჭით. ბავშვობაში საათობით ვხატავდი ჰეიზაჟებს. მერე კი ბევრს ვტიროდი იმის გამო, რომ ვერასოდეს შევძლებდი ბუნების ფერების გადმოტანას ქაღალდზე.

რუსეთში მოგზაურობის დროს ძველ, ნაძვნარში ჩაფლულ ქალაქს გადავაწყდი, ვუახლოვდებოდი და მეჩვენებოდა, თითქოს მიწიდან ქამა სოკოები იზრდებოდნენ. კარგა ხანს გაოგნებული ვუყურებდი ბუნებასთან შერწყმულ საოცრებას, თან ვფიქრობდი, საქართველოში დაბრუნების შემდეგ როგორ ამეხსნა ახლობლებისთვის ამ კუთხის სილამაზე. მაღაზიაში გავიქეცი, ფანქარი და ქაღალდი ვიყიდე და ხატვა დავიწყე... რომ დავამთავრე, აღმოჩნდა, რომ ქაღალდზე დახატული ფიგურები არაფრით არ ჰგავდა სინამდვილეს... მაინც ჩამოვიტანე ნაძვნარიდან ამოზრდილი ქამა სოკოების მსგავსი ნაგებობანი.

და კიდევ მუსიკა, რომელიც მთელი არსებით მიყვარს. როგორც კი მარტო დავრჩები, ვმღერი. ქუჩაში, სახლში, გულში ვმღერი, ჩემს გოგონებს რომ ვუყურებ, მაშინაც მღერის ჩემში რაღაც, ისინიც ხომ არაამქვეყნიური ჰანგები არიან ჩემთვის, ნაზები, ჰაეროვნები...

ქართველები ჭირში თუ ლხინში სიმღერით გამოვხატავთ ჩვენს განცდებს. მეც ჩემეული მუსიკით ვამხნევებ ჩემს გოგონებს. როცა ძალიან განვიცდი, მაშინაც კი ერთადერთ შვებას მუსიკა მაგრძნობინებს... ჩუმად ვმღერი ირინასთვის, მაიასთვის, ლალისთვის, მარინასთვის და მათთვის, რომელთაც ესმით ჩემი მუსიკა. და ტრიალებენ გოგონები ხან ნაზი, ხან სევდიანი მუსიკის ჰანგებზე და მე ბედნიერი ვარ...“

მ. ჩალათაშვილი.

* * *

სურათზე: ნ. სალაძე.

ზედიზედ მესამედ

სსრ კავშირისა და გდრ-ის იუნიორ მძლეოსანთა მატჩი

ვიტყობინებოდით, რომ თბილისის „განთიადის“ მძლეოსნობის სასახლეში გუშინწინ გამართული სსრ კავშირისა და გდრ-ის იუნიორ მძლეოსანთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, რომელიც რიგით მეშვიდე იყო, საბჭოთა სპორტსმენებმა მოიგეს — 119:90. ეს მათი ზედიზედ მესამე გამარჯვებაა, რის შემდეგ საერთო ანგარიში გახდა 4:3 ჩვენების სასარგებლოდ. თვით მატჩში აშკარა იყო საბჭოთა ნაკრების იუნიორების უპირატესობა — 79:42, ხოლო ჩვენმა ქალიშვილებმა დაუთმეს მეტოქეს — 40:48.

ტურნირის მსვლელობაში და მის შემდეგ მონაწილეებს, მწვრთნელებს, მაყურებლებს რამდენიმე ინტერვიუ ვთხოვეთ.

თავისი გუნდის გამარჯვებით განსაკუთრებით კმაყოფილი იყო საბჭოთა ნაკრების უფროსი მწვრთნელი **ფ. სუსლოვი:**

—მინდა გამოვყო ტაშკენტელი იგორ უსოვი და ჩელიაბინსკელი სერგეი კისელიოვი. — გვითხრა მან — მათ იუნიორთა საკავშირო მიღწევების ცხრილში შეიტანეს შესწორება. პირველმა სამხტომში 16,24 მეტრი აჩვენა, ხოლო მეორემ 3000 მეტრი 8.09,3-ში გაიობინა.

საერთოდ, იუნიორთა ნაკრებში ბევრი პერსპექტიული ათლეტია, რომლებიც სულ მალე ქვეყნის პირველ გუნდში დაიმკვიდრებენ ადგილს.

* * *

სტუმართა გუნდის უფროსი მწვრთნელი **ი. ბრაგე**, როცა საუბარი ვაჟთა ასპარეზობას შეეხებოდა, სიტყვაგაირობდა. სამაგიეროდ, გოგონებზე სიამოვნებით ლაპარაკობდა. თავისი გუნდიდან განსაკუთრებით გამოჰყო 15 წლის მოსწავლე ზ. პილე (ამ გოგონამ 184 სმ სიმაღლე გადალახა).

— ალბათ არ ვცდებით, რომ იგი მომავალ ოლიმპიელად მიგვაჩნია და მისგან მსოფლიო რეკორდებს ველით. თუ ზუბილემ ასევე გააგრძელა დოსტატება, 3-4 წელიწადში იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი იქნება. პერსპექტიულია 17 წლის გ. რიმანი, რომელმაც თავისუფლად მოიგო 1500 მეტრზე შეჯიბრება — საბჭოთა სპორტსმენებს შორის საუკეთესოს დ. ზაურაიტეს 6,3 წამით მიასწრო ფინიშთან...

* * *

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი **რ. ქვაჩაკიძე** ტრიბუნაზე გავიცანით. იგი 60-იან წლებში საქართველოს ნაკრებისა და ქვეყნის ოლიმპიური გუნდის წევრი იყო სიგრძეზე ხტომაში.

— სასიხარულოა, რომ ჩვენთან უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა ყურადღება და ზრუნვა სპორტის მიმართ. ამია მაგალითად თუნდაც ეს შესანიშნავი მძლეოსნობის სასახლეც ქმარა. ადრე მანეაზე ოცნებაც კი არ შეგვეძლო, ახლა მარტო თბილისში 2 შესანიშნავი დახურული ბაზაა, ამას „დინამოს“ სტადიონის ბილიკებს და სექტორებს თუ დავუმატებთ, მწვრთნელებს აღარაფერი ეთქმით — ახლა მათზეა დამოკიდებული, რომ რესპუბლიკის „სპორტის დედოფალმა“ ფრთები გაშალოს.

რაც შეეხება თვით შეჯიბრებას, ჩემი ყურადღება განსაკუთრებით მიიქცია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტის სერგო ახვლედიანის გამოსვლამ სამხტომში. ეს 18 წლის ჭაბუკი ერთობ პერსპექტიული ჩანს...

* * *

მაშ ასე, დამთავრდა სსრ კავშირისა და გდრ-ის იუნიორ მძლეოსანთა მორიგი, მეშვიდე მატჩი. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ შეჯიბრების ორგანიზაცია სანიმუშო იყო. ამაში დიდი სასახლის დირექციისა და მსაჯთა კოლეგიის დამსახურება (მთავარი მსაჯი — საკავშირო კატეგორიის არბიტრი კ. მალიშკოვი). სხვათა შორის, ტურნირის კარგ ორგანიზაციას გდრ-ის გუნდიც ხელმძღვანელმა ჰ. კიულემაც ხაზი გაუსვა...

ლ. გელაშვილი,
ჟ. ჯიმშელაძე.

სურათებზე: ზ. პილე ასპარეზობისას; ი. უსოვი; 800 მეტრზე მორბენალი გოგონები (მარცხნიდან) ლ. კირიუხინა, ბ. პრეისი, ს. ანდრეევა და ი. ფოგელგზანგი დისტანციაზე.

ჯ. კასრაძის ფოტოები.



ტექნიკური შედეგები:

ქალიშვილები. რბენა. 60 მ. ე. მალახოვა (სსრკ) — 7,3, გ. ვალტერი (გდრ) — 7,4, გ. მიხეევა (სსრკ) — 7.5, კ. დეუსტერი (გდრ) — 7,6; **400 მ.** ჰ. ჰიგელი (გდრ) — 55,3, ლ. ტუზნიკოვა (სსრკ) — 56,2, ი. როლე (გდრ) — 57,2, ნ. დემიდოვა (სსრკ)— 57,8; **800 მ.** ლ. კირიუხინა (სსრკ) — 2.10,7, ბ. პრეისი (გდრ) — 2.11,2, ს. ანდრეევა (სსრკ) — 2.11,7, ი. ფოგელგზანგი (გდრ)— 2,13,4; **1500 მ.** გ. რიმანი — 4.24,2 გ. მანერტი (ორივე—გდრ) —4.25,9, დ. ზაურაიტე —4.30,5. ლ. წინწალაშვილი (ორივე—სსრკ) —4.47,0. **60 მ. თარჯრბენი.** ე. ენგმანი — 8,51, ი. რისე (ორივე— გდრ) — 8,55. ე. ბისეროვა — 8,57, ე. ნიკოლაევა (ორივე — სსრკ) — 8,64. **სიმაღლეზე ხტომა.** ზ. პილე (გდრ) — 184, ნ. ნიკოლაევა (სსრკ) — 182, მ. ვეზერი (გდრ) — 172. ს. ჩუგუნოვა (სსრკ) — 172. **სიგრძეზე ხტომა.** ლ. პოზდნაია (სსრკ) — 625, გ. დაუტე — 617, კ. შიმა (ორივე — გდრ) — 614. ი. დუხანოვიჩი (სსრკ) — 614. **ბირთვის კვრა.** ე. კოზლოვა (სსრკ) — 16,97, ს. მადეტსკი — 16,55, ი. მეშჩენკი (ორივე — გდრ) — 16,12, ტ. ზაბარკინა (სსრკ) — 15,26.

იუნიორები. რბენა. 60 მ. ვ. ბოიკო (სსრკ) — 6,84, ე. ჰიუბნერი (გდრ) — 6,86, ა. ევგენიევი (სსრკ) — 6,92, ტ. სტრასბურგერი (გდრ) — 6,98; **400 მ.** ა. საფაროვი (სსრკ) — 48,6, უ. პრეუშე (გდრ) — 48,8, ვ. შერშენი (სსრკ) — 49,0. ფ. ლიოვლეინი (გდრ) — 50,0; **800 მ.** მ. შიმა (გდრ) — 1.51,8, ა. დავიდოვი — 1.53,1, ნ. ლიტენკოვი (ორივე — სსრკ) — 1.53,8. დ. ეეინიგი (გდრ) — 1.55,1; **1500 მ.** ს. სერგინენკო (სსრკ) — 3.52,4, ი. რიხტერი — 3.53,4, ფ. ილინგი (ორივე — გდრ) — 3.53,9, ე. ეერებინი (სსრკ) — 3.54,0; **3000 მ.** ს. კისელიოვი — 8.09,3. ვ. გრიაზნოვი (ორივე — სსრკ) — 8.13,2, ო. კამპე — 8.28,2, ი. მატერნენი (ორივე — გდრ) — 8.37,1. **60 მ. თარჯრბენი.** ვ. კლიმოვი — 7,99, ს. პოლიშჩუკი (ორივე — სსრკ) — 8,03, რ. ჰერმანი — 8,34, ჰ. პოლანდი (ორივე — გდრ) — 8,81. **სიგრძეზე ხტომა.** გ. კაპტელოვი (სსრკ) — 733, ა. კელინგი (გდრ) — 731. ვ. პოტაპენკო (სსრკ) — 715, ა. გეტცემანი (გდრ) — 712. **სამხტომი.** ი. უსოვი — 16,24, ს. ახვლედიანი (ორივე — სსრკ) — 15,69, ფ. პალინგი — 14,92, ა. ცვანციგი (ორივე — გდრ) — 14,73. **ჭოკით ხტომა.** ვ. ტკაჩენკო — 540, პ. ბოგატირიოვი (ორივე — სსრკ) — 530, რ. ბაიერი — 500, უ. რიუდინგერი (ორივე — გდრ) — 320. **სიმაღლეზე ხტომა.** ო. აზიზმურადოვი — 217, გ. მარცინოვიჩი (ორივე — სსრკ)— 217, უ. რიუდიგერი — 217, ფ. ნაგელი (ორივე — გდრ) — 200. **ბირთვის კვრა.** ს. კასნაუსკასი (სსრკ) — 18,50, ა. ჰორნი (გდრ) — 18,31, დ. კობტიუხი (სსრკ) — 17,14, ი. მეიზეცავი (გდრ) — 15,81.

ჩემპიონატები ევროპის ქვეყნებში

იტალია

XX ტურის შემდეგ გავიდა ჩემპიონატის ორი მესამედი. „ინტერი“ კერძერობით დამაჯერებლად ლიდერობს. მან ამ ტურში უმაღაფრესი მატჩი მოიგო „ტუმრად „ნაპოლიათან“ — 4:3. მეორე ადგილზე მყოფმა „მილანმა“ ასევე გაიმარჯვა შინ „მეაცას“ სტადიონზე (ყოფილი „სან-სირო“) „პერუჯასთან“ — 1:0.

სხვა მატჩები: ლაციო“ — „ასკოლი“ 0:1, „ბოლონია“ — „აველინო“ 1:0, „კატანდარო“ — „კალიარი“ 1:0, „პესკარა“ — „ფიორენტინა“ 1:2, „უდინეზე“ — „იუვენტუსი“ 1:3, „ტორინო“ — „რომა“ 1:0.

XX ტურის შემდეგ „ინტერს“ 29 ქულა აქვს, „მილანს“ — 24, „იუვენტუსს“ — 23.

საინტერესოა, რომ პირველ ლიგაში გადმოსული ორი ახალბედა მდგომარეობა სრულიად უიმედოა: „პესკარა“ 9 ქულით ბოლო ადგილზეა, „უდინეზე“ 14 ქულით — ბოლოსწინაზე.

ჰოლანდია

საქმე ის წარიმართა, რომ „აიაქსი“, ეტყობა, ვადაზე ადრე გახდება ჩემპიონი. XXII ტურში მან სტუმრად მორიგი გამარჯვება იზეიმა „ჰაარლემთან“ — 3:1, გაიმარჯვა მეორე ადგილზე მყოფმა „აც 67 ალკმაარმაც“, რომელიც როტერდამის „ექსელსიორს“ ეთამაშებოდა — 1:0.

XXII ტურის შემდეგ ამსტერდამის „აიაქსს“ 38 ქულა აქვს, „აც 67 ალკმაარს“ 31 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი, როტერდამის „ფეიენოორდს“ — 30 ქულა და 1 გამოტოვებული მატჩი. დანარჩენი გუნდები საგრძნობლად ჩამორჩებიან.

ბელგია

იმის გამო, რომ ყოფილი ლიდერი „ლოკერენი“ ზედიზედ მეორედ დამარცხდა (XXIII ტურში შინ კონკურენტ „ფკ ბრიუჟთან“ — 0:1), მდგომარეობა სატურნირო ცხრილში ერთობ გამწვავდა. პირველი ადგილის სხვა პრეტენდენტებმა გაიმარჯვეს: „ანდერლეხტმა“ — „ვარეგემთან“ 6:0, ხოლო ლიეჟის „სტანდარდმა“ — „ბერინგენთან“ 4:0.

XXIII ტურის შემდეგ ჩემპიონობისთვის 5 გუნდი იბრძვის და თანაც დაახლოებით თანაბარი შესაძლებლობებით. „ფკ ბრიუჟს“ 33 ქულა აქვს, ლიეჟის „სტანდარდსა“ და „ლოკერენს“ — 32-32, „ანდერლეხტსა“ და „მოლენბეკს“ — 31-31 ქულა.

პორტუგალია

XVIII ტურში ქ. პორტოში გაიმართა ცენტრალური შეხვედრა ადგილობრივ „პორტოსა“ და ლისაბონის „ბენფიკას“ შორის. ლიდერმა ანგარიშით 2:1 მოუგო მესამე ადგილზე მყოფ „ბენფიკას“ და ახლა ფაქტიურად ერთი მეტოქეღა დარჩა — ლისაბონის „სპორტინგი“, რომელმაც ასევე გაიმარჯვა „მარიტიმოსთან“ — 4:1.

ახლა „პორტოსა“ და „სპორტინგს“ 31-31 ქულა აქვთ და 4 ქულით უსწრებენ „ბენფიკას“. სხვა გუნდები საგრძნობლად ჩამორჩნენ.

თურქეთი

XVI ტურის შემდეგ „ტრაბზონსპორი“, იმის მიუხედავად, რომ სტუმრად დამარცხდა 0:1 „ბურსასპორთან“, მაინც ინარჩუნებს პირველ ადგილს. მას 20 ქულა აქვს. ლიდერს 2-2 ქულით ჩამორჩებიან „რიზესპორი“ და „ორდუსპორი“. 17 ქულა აქვს 5 გუნდს, მათ რიცხვში სტამბოლის კლუბებს „ბეშიქთაშსა“ და „ფენერბახჩეს“. ჩემპიონატის დიდი სენსაციაა თურქეთის მრავალგზის ჩემპიონ „გალათასარაის“ სრული კრახი. მას თავისი არსებობის ისტორიაში პირველად ლიგის დატოვება ემუქრება.

● ფეხბურთი

ესპანეთი, 1982 წელი...

ფეხბურთი, უდავოდ, საინტერესო სანახაობაა, მაგრამ არანაკლებ ემოციური საკერავია ისეთი დიდი ღონისძიების წილისყრა, როგორიცაა მსოფლიო ჩემპიონატი. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინა ციურიხში აწრიალებულ სკას ჰგავს. საქმიანი ხალხი წინ და უკან დარბის ვეება საქაღალდეებით ხელში, მათ ყოველ ნაბიჯზე „დარაჯობენ“ ფოტო, კინო, ტელერეპორტიორები, კორესპონდენტები, ათასგვარი საქმიანი თუ უსაქმო პირები. ჩარაზული კარებიდან გარეთ გამოღწეულ ყოველგვარ ცნობას უმალ იჭერენ ჟურნალისტები, მერე საქმეში ებმება ტელეფონი, ტელეტაიპი, ტელეგრაფი. მავთულის იქითა ბოლოში გაფაციცებით უცდიან ახალ-ახალ ცნობებს, სენსაციებს...

ამ წესიდან გამონაკლისი არ ყოფილა 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის ცერემონიაც. ესპანეთის ქალაქების სტადიონებზე მომავალი ბრძოლების წინ ყველას აინტერესებდა ვინ? ვისთან? როგორ?

მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრის ე. წ. საკვალიფიკაციო ჯგუფების შემადგენლობები „ლელოში“ გვქონდა გამოქვეყნებული, ახლა გთავაზობთ ყველა ზონის კომპლექტაციას, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წევრი ყველა ქვეყნის მიკუთვნებას ზონებისა და ჯგუფების მიხედვით.

ევროპა (13 ფინალისტი)

I ჯგუფი

გფრ, ავსტრია, ბულგარეთი, ფინეთი, ალბანეთი.

II ჯგუფი

ჰოლანდია, საფრანგეთი, ბელგია, ირლანდია, კიპროსი.

III ჯგუფი

ჩეხოსლოვაკია, სსრ კავშირი, უელსი, თურქეთი, ისლანდია.

IV ჯგუფი

ინგლისი, უნგრეთი, შვეიცარია, რუმინეთი, ნორვეგია.

V ჯგუფი

იტალია, იუგოსლავია, საბერძნეთი, დანია, ლუქსემბურგი.

VI ჯგუფი

შოტლანდია, შვეცია, პორტუგალია, ჩრ. ირლანდია, ისრაელი.

VII ჯგუფი

პოლონეთი, გდრ, მალტა.

ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა შეადგინა შესარჩევი ჯგუფების ახალი სქემა, რომელიც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ მოიწონა. გადაწყდა არა 13 წინასწარი ჯგუფის შექმნა, არამედ ჩამოყალიბდა 7 ჯგუფი. ხუთ მათგანში 5-5 ნაკრებია, ერთში — 4 და ერთშიც — 3.

ფინალში თამაშის უფლებას პირველი 6 ჯგუფიდან ღებულობს 2-2 გუნდი (I-II ადგილები), ხოლო მეშვიდედან — მხოლოდ გამარჯვებული.

ისრაელი მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩებში, როგორც ხედავთ, მონაწილეობს VI ჯგუფში შოტლანდიის, შვეციის, პორტუგალიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებთან ერთად. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია ამ დათმობაზე წავიდა მას შემდეგ, რაც ისრაელელებმა უარი თქვეს ეთამაშათ ჩრდილოეთ ამერიკის ზონაში, სადაც გამოდიან მექსიკის, აშშ-სა და კანადის გუნდები. საამისოდ, როგორც მინიმუმი, საჭირო იყო ამ ჯგუფში სამიდან 2 გუნდის თანხმობა.

კანადელებმა უარი თქვეს ისრაელთან ერთ ჯგუფში გაერთიანებაზე და მოიშველიეს „ეკონომიური სიძნელეთა“ მიზეზები. მათ მხარი დაუჭირეს მექსიკელებმა, რის შემდეგ ისრაელმა გაინალდა ეს საჭირო მინიმუმი — 2 თანხმობა და გადაინაცვლა ევროპაში.

აფრიკა (2 ფინალისტი)

28 ნაკრებიდან 4 ბრძოლას დაიწყებს მეორე ეტაპიდან: ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, სუდანი, ლიბერია, ტოგო. დანარჩენი ქვეყნები პირველ ეტაპზე წყვილებად არიან დაყოფილი.

სენეგალი — მაროკო, ზაირი— მოზამბიკი, კამერუნი — მალავი, გვინეა — ლესოტო, ტუნისი — ნიგერია, ლიბია — გამბია, ეთიოპია — ზამბია, ნიგერი — სომალი, სიერა-ლეონე — ალჟირი, განა — ეგვიპტე, კენია — ტანზანია, უგანდა — მადაგასკარი.

აზია და ოკეანია (2 ფინალისტი)

I ჯგუფი

ინდონეზია, ავსტრალია, ფიჯი, ახალი ზელანდია, ტაივანი.

II ჯგუფი

ერაყი, სირია, ბაჰრეინი, კატარი, საუდის არაბეთი.

III ჯგუფი

კუვეიტი, ირანი, ტაილანდი, მალაზია, სამხრეთ კორეა.

IV ჯგუფი

ჰონკონგი, მაკაო, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, იაპონია, სინგაპური.

სამხრეთ ამერიკა (3 ფინალისტი)

I ჯგუფი

ბრაზილია, ბოლივია, ვენესუელა.

II ჯგუფი

კოლუმბია, პერუ, ურუგვაი.

III ჯგუფი

პარაგვაი, ეკვადორი, ჩილი.

ჩრდილოეთ, ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზღვის ქვეყნები (2 ფინალისტი)

ჩრდილოეთი ზონა: აშშ, კანადა, მექსიკა.

ცენტრალური ზონა: პანამა, კოსტა-რიკა, სალვადორი, გვატემალა, ჰონდურასი.

კარიბის ჯგუფი: პირველი ზონა: — კუბა, სურინამი, აგრეთვე გრენადა — ჰაიტის წყვილებში გამარჯვებული; **მეორე ზონა:** — ჰაიტი, ტრინიდადი, ანტილის კუნძულები.

2 ადგილი ფინალში ეთმობათ არგენტინას (მსოფლიო ჩემპიონი) და ესპანეთს (ჩემპიონატის ორგანიზატორი).

24 თებერვალი საბჭოების არჩევნების დღეა

პირველად!

კოხტაგორას ფერდობებზე ქვეყნის უძლიერეს სამთომოთხილამურეებთან ერთად, რომლებიც „ლელოს“ პრიზისთვის იბრძოდნენ, ჩვენი რესპუბლიკის ქალთა ნაკრებიც ასპარეზობდა.

...ისინი ოთხნი არიან: თამარ გელაშვილი, მერი და ცირა კოზანაშვილები, მზია მიქაბერიძე.

თამარი უკვე გამოცდილი სპორტის ოსტატია, მერიმ მხოლოდ ორიოდე დღის წინ შეასრულა ეს საპატიო წოდება, ცირა ოსტატობის კანდიდატია, ხოლო მზიას — ბაკურიანელ მე-9 კლასის მოსწავლეს, პირველი თანრიგი აქვს.

თამრიკოს კოხტაგორაზე შევხვდით, საბაგიროთი სტარტზე ადიოდა.

— ვინ გაიმარჯვებს დღეს?

— რუსი ან რომელიმე დები პერჩატკინებიდან. ისე კი, „ლეიკ-პლესიდელი“ პატრაკეევა რომ იყოს აქ, დარწმუნებული ვარ „ლელოს“ პრიზს არავის გაატანდა.

...ხუთი წლის იყო თამრიკო, როდესაც პირველად შედგა თხილამურებზე. 9 წლისამ ვარჯიში დაიწყო სამთო-სათხილამურო სპორტში მწვრთნელ ზიტა გავასთან. ორი წლის შემდეგ უკვე ცნობილ მწვრთნელ პავლე კოზანაშვილთან ვარჯიშობდა. დინამოელი სპორტსმენისა და მწვრთნელის თანამეგობრობა დღესაც გრძელდება.

პირველი სიხარული თ. გელაშვილმა 1976 წელს განიცადა, როცა საქართველოს პირველობაზე გოგონათა შორის უძლიერესის სახელი მოიპოვა.

— გამოგიტყდებით, გამარჯვებაზე არც ვფიქრობდი, უბრალოდ მინდოდა დავა მომეგო ჩემს ძველ მეგობრებთან, თანაკლასელებთან მერი და ცირა კოზანაშვილებთან, — ღიმილით გვეუბნება თამარი.

იმავე წელს საკავშირო პირველობაზე უმცროსი ასაკის გოგონათა შორის თ. გელაშვილი მე-5 იყო, ორი წლის შემდეგ კი სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადაზე ბაკურიანში — მერვე. შარშან „ლელოს“ პრიზის გათამაშებაში გელაშვილმა აწრაფდაშვებისა და სლალომის ტრასებზე VI და IX შედეგი აჩვენა, რითაც სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

დღეს ბაკურიანელი თამარ გელაშვილი საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტია. ზუსტად ერთი თვის წინ (24 იანვარს) მას 18 წელი შეუსრულდა და პირველად იღებს მონაწილეობას არჩევნებში.

— მიხარია, რომ ჩემს ხმასაც ვაძლევ ყველაზე ღირსეულებს. ძალიან მიყვარს ჩემი ბაკურიანი, მინდა, რომ იგი კიდევ უფრო ლამაზი გახდეს. ამაში კი, დარწმუნებული ვარ, პირველ სიტყვას ხალხის რჩეულნი იტყვიან — ისინი, ვისაც ყველასთვის ნაცნობი სიტყვა „დეპუტატი“ ჰქვია...

სოფიო ხეთაგაშვილი.

ბაკურიანი.

ზამთრის XIII ოლიმპიური თამაშები

ალექსანდრე ტიხონოვის სიხარული

ბიატლონისტთა პროგრამის ბოლო სახეობა 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტა იყო. მანამდე, სპრინტსა და 20 კილომეტრზე რბენაში საბჭოთა კავშირია და გდრ-ის სპორტსმენებმა თითო ოქროს მედალი მოიპოვეს, ამიტომაც ესტაფეტაში სწორედ ამ ქვეყნების გუნდები მიაჩნდათ მთავარ ფავორიტებად. ჩვენებიაა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენები სხვებს აშკარად სჯობდნენ როგორც სროლის აიზუსტეში, ისე რბენის სიაწრაფეში.

პირველ ეტაპზევე უშეღავათო ბრძოლა გაიმართა პერმელ ვ. ალიკინსა და მ. იუნგს (გდრ) შორის. პირველ საცეცხლე პოზიციაზე ალიკინმა ხუთივე ტყვია სწრაფად და უშეცდომოდ გაგზავნა სამიზნეში. უშეცდომოდ ისროლა მან (დგომელა მდგომარეობიდან) მეორე საცეცხლე პოზიციაზეც და ა. ტიხონოვს პირველმა გადასცა ესტაფეტა. ამ მომენტისთვის საბჭოთა ნაკრები თითქმის ნახევარი წუთით იყო დაწინაურებული.

ლეიკ-პლეაიდამდე ნოვოსიბირსკელმა სპორტსა დამსახურებულმა ოსტატმა ა. ტიხონოვმა X, XI, XII ოლიმპიადებში 3 „ოქრო“ მოიპოვა ეტაფეტებში. ცხადია, დიდი იყო მისი სურვილი ამჯერადაც გამოეჩინა თავი. 33 წლის სპორტსმენმა ახლაც ჭაბუკური ენერგიით შეუტია და, მართალია, ზიბერტთან სისწრაფეში პოზიციები დათმო. მაგრამ ზუსტი სროლის წყალობით ერთგვარი უპირატესობა შეინარჩუნა. ჯ. ზიბერტი ჩქარობდა. ალბათ ნერვებმაც უღალატეს, რომ ერთი სამიზნე უვნებელი გადაურჩა და გერმანელი ბიატლონისტი იძულებული გახდა 150-მეტრიანი საჯარიმო წრე შემოევლო. ბრძოლა გრძელდებოდა. გდრ-ის მოთხილამურეები იმედს არ ჰკარგავდნენ: ვარაუდობდნენ, რომ ფ. ულრიხი და ე. რიოში გამოაწორებდნენ მდგომარეობაა, მაგრამ ომსკელმა ვ. ბარნაშოვმა და ლენინგრადელმა ა. ალიაბიევმა მოწინააღმდეგეებს ყოველგვარი იმედი გადაუწურეს. მით უმეტეს, მეორე საცეცხლე პოზიციაზე ულრიხსაც მოუხდა საჯარიმო წრის შემოვლა.

საბჭოთა ნაკრებმა პირველმა დაამთავრა შეჯიბრება — 1:34.03,27. **გდრ-ის** გუნდი 53,72 წამით ჩამორჩა. III ადგილზე გავიდნენ **გფრ-ის** ბიატლონისტები — 1:37.30,26.

ამ წარმატებით ტიხონოვმა მეოთხე ოქროს მედალი მოიპოვა.

* * *

სურათზე: ბიატლონისტთა ესტაფეტაში ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონი ა. ტიხონოვი.

საკდესი-საქინფორმის

ტელეფოტო.

დღეს გოლო სახეობაა

გუშინ ოლიმპიადაზე მედლების 5 კომპლექტი გათამაშდა: ქალებმა დავა დაამთავრეს სპეციალურ სლალომში და ფიგურულ ციგურაობაში, ხოლო ვაჟებმა იასპარეზეს 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, 10000 მეტრზე ციგურაობაში და 50 კილომეტრზე თხილამურებით რბენაში.

გუშინვე დაიწყო ოთხადგილიანი ბობსლეებით დაშვება (პირველი და მეორე ცდა), ჩემპიონი კი დღეს გამოვლინდება, როცა ოთხი ცდის შედეგები შეჯამდება. **დღესვე** გაიმართება ჰოკეისტთა უკანასკნელი ორი მატჩი, რის შემდეგ მოეწყობა ოლიმპიადის საზეიმო დახურვა.

დასკვნითი ტურის წინ

გაიმართა ჰოკეისტთა ფინალური შეხვედრების პირველი ტურის მატჩები, აგრეთვე, ბრძოლა დანარჩენი გუნდების მონაწილეობით. ოქროს მაძიებელთა დუელში ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა საბჭოთა კავშირისა და აშშ-ს კოლექტივების მატჩი, რომელიც ავსე იყო აინტერესო, დრამატული მომენტებით. პირველ პერიოდში მოწინააღმდეგეებმა 2-2 შაიბა გაიტანეს. მეორე პერიოდში ჩვენები დაწინაურდნენ — 3:2, მაგრამ დასკვნით ეტაპზე ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და ააბოლოოდ დამარცხდნენ — 3:4. ამან მასპინძლებს საშუალება მისცა სათავეში მოქცეოდნენ გათამაშების ცხრილს.

ამავე ჯგუფში ფრედ (3:3) დამთავრდა შვეციისა და ფინეთის კოლექტივების შეხვედრა. გადამწყვეტი მატჩების წინ ამერიკელებს 3 ქულა აქვთ (შაიბებია შეფარდება — 6:5), საბჭოთა სპორტსმენებს — 2 ქულა (7:6), შვედებს — 2 (5:5), ფინელებს — 1 (5:7).

ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან სსრ კავშირი — შვეცია, აშშ — ფინეთი.

V ადგილისათვის ბრძოლაში ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა ადვილად დაამარცხა კანადელი ჰოკეისტები — 6:1. მატჩის ბედი ფაქტიურად პირველ პერიოდში გაირკვა, როცა ჩეხოსლოვაკიელებმა მოწინააღმდეგის კარში 5 უპასუხო შაიბა გაიტანეს.

ოცნება აისრულა

სამი წლის წინათ, როცა არტურო კანჩი ქალაქ დენვერის კოლეჯში ჩაირიცხა, პირველად გაეცნო სამთო-სათხილამურო სპორტს და, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „შეიყვარა სამუდამოდ“. არტურომ, იმისთვის, რომ ოლიმპიურ თამაშებზე ეასპარეზა, კოსტა-რიკაში შექმნა სამთოსათხილამურო სპორტის ასოციაცია, თვითონ შეადგინა ამ ასოციაციის წესდება, თვითონ გადათარგმნა იგი ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ამჟამად კოსტა-რიკის სამთომოთხილამურეთა ასოციაციაში 38 წევრია.

ოლიმპიადაზე გამგზავრების წინ იგი კიდევ ერთ წინააღმდეგობას წააწყდა. არტუროს არ აღმოაჩნდა ფული ფორმისა და თვითმფრინავის ბილეთის შესაძენად. საოჯახო თათბირზე (კანჩს 11 და-ძმა ჰყავს) გადაწყვეტილება მიიღეს გაეყიდათ ყველაზე ძვირფასი ნივთები — საყვირი და ტრომბონი, რომლებზეც არტური და მისი ერთ-ერთი ძმა უკრავდნენ.

და აი, კანჩმა მიიღო მონაწილეობა შეჯიბრებაში, რომელზეც იგი ოცნებობდა და მან ერთადერთმა პირველად წარმოადგინა კოსტა-რიკა თეთრ ოლიმპიადაზე. (საკდესი).

● ჭადრაკი

გადამწყვეტი შეხვედრები

ქუთაისი, 23 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის მასობრივ ტურნირში გუშინ დილით მოეწყო XI ტურიდან გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს — ბოლოსწინა, XII ტურის შეხვედრები.

გადადებული პარტიების დამთავრებიას მ. ჭიპაშვილმა (თბილისი) კარგად გამოიყენა თავისი პოზიციის უპირატესობა და სძლია ოსტატ ჯ. ბერაძეს (წყალტუბო). ბ. ხეკურიანმა (თბილისი) მოუგო ე. გველესიანს (რუსთავი).

XII ტურში ისევ ისახელა თავი ჭიპაშვილმა. ამჯერად, ტაქტიკური დარტყმით ი. სიფრაშვილს (აიღნაღი) მოუგო ფიგურა და პარტია. ლიდერები დ. გურგენიძე (საგარეჯო) და კ. შავგულიძე (ქუთაისი) აყამს დასჯერდნენ: პირველი ზ. ლომინაძესთან (ქუთაისი), მეორე — მ. არჩვაძესთან (სამტრედია). ბერაძემ დაამარცხა ნ. ლობჟანიძე (წითელი წყარო), ტ. მეტრეველმა (რუსთავი) — ი. მანაშეროვი (ხაშური), რ. კაპანაძემ — ს. გაბუნია (ორივე — თბილისი) და გ. გიორგაძემ — თ. მესხი (ორივე — ქუთაისი).

12 ტურის შემდეგ გურგენიძეს 9,5 ქულა აქვს, ბერაძეს, შავგულიძეს, ჭიპაშვილს — 9-9, მეტრეველს, კაპანაძეს, გიორგაძეს, ლომინაძეს — 8,5-8,5.

ზ. ბურკაძე.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

● ძიუდო

კიდევ ერთი წარმატება

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები გუნდის წევრებმა (მწვრთნელები ა. დიღმელაშვილი და ა. კელიხაშვილი) ბოლო ხანებში საკავშირო სარბიელზე ზედიზედ რამდენიმე თვალსაჩინო გამარჯვება მოიპოვეს. ამ დღეებში სპარტაკელი ფალავნების „სავიზიტო ბარათში“ კიდევ ერთი წარმატება აღინიშნა — ორმა მოჭიდავემ I, სამმა II და ორმა III საპრიზო ადგილი დაიკავეს „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე. შეჯიბრებაზე, რომელიც ლიპეცკში ჩატარდა, თავი მოიყარეს 12 მოკავშირე რესპუბლიკის უძლიერესმა ძიუდოისტებმა.

ჩვენი რესპუბლიკიდან საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გ. ველიჯანაშვილი (60 კგ) და აბსოლუტურ პირველობაში დ. ოქრუაშვილი. დიმიტრიმ მძიმე წონის მოჭიდავეთა შეჯიბრებაშიც მოიგო ერთი მედალი — ბრინჯაოსი. აღსანიშნავია, რომ ამ სპორტსმენმა აბსოლუტურ პირველობაში აშკარა უპირატესობით სძლია ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ პრეტენდენტს, ჩვეულებრივ მრავალგზის პრიზიორს ნ.გურცოვს (რსფსრ). საკავშირო სარბიელზე ოქრუაშვილის სპორტული ოსტატობის აღიარებაში დიდი ამაგი მიუძღვის მწვრთნელს ო. გულიაშვილს. კერცხლის მედლები წილად ხვდათ გ. მელიქიძეს (მძიმე წონა), თ. ვარდანაშვილს (78 კგ) და ბ. აბუევს (აბსოლუტური). მესამე ადგილზე გავიდნენ გ. კოხოძე (მძიმე) და ა. შაბურიშვილი (78 კგ). ველიჯანაშვილი, ოქრუაშვილი, მელიქიძე, ვარდანაშვილი და აბუევი „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებ კოლექტივში შეიყვანეს და მარტში სსრ კავშირის ჩემპიონატში (ზაპოროჟიე) იასპარეზებენ.

თ. ბაძრაძე.
ზ. ხორავა.

● ცურვა

რეკორდები ცისფერ ბილიკებზე

ლენინგრადი, 22 თებერვალი. აქ მიმდინარე სსრ კავშირის ზამთრის ჩემპიონატში კიეველმა ა. სიდორენკომ 400 მეტრზე კომპლექსური ცურვაში 4.21,97 აჩვენა და ევროპის რეკორდი დაამყარა. ქალთა შორის საუკეთესო იყო მოსკოველი ო. კლევაკინა — 4.55,23.

800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ლენინგრადელმა ი. აქსიონოვამ სსრ კავშირის რეკორდით — 8.40,55 გაიმარჯვა. 1500-მეტრზე საუკეთესო იყო მისი თანაგუნდელი ვ. ალნიკოვი — 15.09.27.

200 მეტრზე გულაღმა ცურვაში ქალთა შორის გაიმარჯვა ვოლგოგრადელმა ლ. გორჩაკოვამ — 2.17,78, ხოლო ვაჟებში ოქროს მედალი მოიპოვა ლენინგრადელმა ვ. კუზნეცოვმა — 2.04,43.

«სპორტლოტო»

გაიმართა „სპორტლოტოს“ მერვე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6-49“-დან:

პირველი: 6 (ქალთბურთი), 9 (ჭიდაობა), 15 (წყალბურთი), 16 (ტანვარჯიში), 19 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 22 (ციგურები). შეღავათიანი ბურთულა — 39 (სამბო).

მეორე: 4 (ალპინიზმი), 10 (საბუერო სპორტი), 17 (მხატვრული ტანვარჯიში), 25 (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა), 30 (აფროსნობა), 48 (ჭადრაკი). შეღავათიანი ბურთულა — 31 (ცურვა).

„სპორტლოტო 5-36“-დან:

პირველი: 2 (ბიატლონი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 27 (თანამედროვე ხუთჭიდი), 28 (მშვილდოსნობა), 31 (ძალოსნობა).

მეორე: 7 (ტრეკზე ველორბოლა), 12 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 16 (ცხენოსნობა), 24 (ხელბურთი), 28 (მშვილდოსნობა). **საკდესი.**

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის ვისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და ხოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.